ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4351770

ნომერი: AR1656653

თარიღი : 22.01.2019

გაცემის თარიღი : 28.01.2019

გაცნობის თარიღი : 29.01.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერეკლე II , N 11 (ნაკ. N45/12);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე სიყმაშვილი პ/ნ 25001034820
- ლაგოდეხი ს. შრომა

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს ,,კაია გრუპი''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204566585
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირმა ბერიანიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010013578

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ეკატერინე სიყმაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება. პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა:

1. გაითვალისწინეთ, რომ არსებული და საპროექტო შენობა სცდება საკადასტრო საზღვრებს, ხდება თვითმმართველის რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ნაკვეთებზე გადასვლა (ფართოვდება სარდაფი), ასევე მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე ხდება საპროექტო შენობით გადასვლა.
2.ასევე გაითვალისწინეთ, რომ საპროექტო შენობის განთავსების არეალში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები (ს/კ 01.00.287 მილსადენი; ს/კ 01.00.949; 01.00.121 ელექტროგადამცემი ხაზი).
3.- საკადასტრო საზღვრის კონტური არასწორად გაქვთ დატანალი შეუსაბამობაშია საკადასტრო გეგმასთან.

4.-წარმოადგინეთ სრულყოფილი გენგეგმა, (არსებული და საპროექტო).
გენგეგმა საკადასტრო საზღვრების სწორად დატანით, ღერძებით, ღერძებს შორის მანძილებით;

5.- წარმოადგინეთ ძეგლის სრულყოფილი არქიტექტურული პროექტი.
-გეგმებზე დაიტანეთ ნიშნულები.
-ჭრილებზე არ არის დატანილი ღერძები.
- წარმოადგინეთ ფაქტობრივი მდგომარეობის ანაზომი.
- განმარტებითში დეტალურად აღწერეთ არსებული და საპროექტო მდგომარეობა და

6.- წარმოადგინეთ სრულყოფილი კონსტრუქციული პროექტი ხელმოწერილი ავტორის მიერ. დეტალური განმარტებითი, არსებული და საპროექტო მდგომარობის ასახვით,არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები დაამატეთ, ასევე რადგან მოცულობა ჩნდება მინუს სართულებზე , აღწერეთ მეთოდოლოგია.
7.- კონსტრუქციულ დასკვნაში არ არის აღწერილი ც-ბ ღერძებს შორის არსებული მოცულობის ქვეშ სართულის მოწყობასა და ზეგავლენებზე.

8.- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კონსტრუქციული პროექტი შეუსაბამობაშია და განსხვავდება ძეგლის არქიტექტურული პროექტისგან.
9. - გეგმებზე არასწორადაა მითითებული საკადასტრო საზღვრები, არ არის მითითებული ღერძები, ღერძებს შორის მანძილები;
10. -22/01/2019 წლის მინდობილობა გაცემულია მინდობილი პირის თეა ორჯონიკიძის მიერ, თუმცა შპს „კაია გრუპის“ დირექტორის მიერ თეა ორჯონიკიძეზე გაცემული მინდობილობა უფლებამოსილების გადანდობის უფლებას არ ითვალისწინებს, შესაბამისად, თეა ორჯონიკიძის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა მისაღები არ არის. წარმოსადგენია შპს „კაია გრუპის“ დირექტორის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა. შპს „პიკის“ თანხმობა მისაღები არ არის. არ დგინდება, რომელი წარმდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად გაიცა თანხმობა. თანხმობა უნდა გაიცეს კონკრეტულად ამ განცხადებით განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. როგორც განმრატებით ბარათში უთითებს არსებული სარდაფი ფართია 75 კვ.მ, ხოლო საპროექტო - 170 კვ.მ. შესაბამისად, თუ ფართის მატება დასტურდება საპროექტო დოკუმენტაციით, წარმოსადგენი იქნება იპოთეკარისა და თანამესაკუთრის ინგა ხელაიას თახმობაც.

11.-ხელმოწერილი კალენდარული გეგმა-გრაფიკი წარმოადგინეთ.

სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.